

## მაკა სალია

დუზჯეს უნივერსიტეტი (თურქეთი). კავკასიური ენებისა  
და კულტურის განყოფილება. ქართული ენისა  
და ლიტერატურის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი.

## ლაგური მოსახლეობა დუზჯეში და მათი თვითაღქმა

### აბსტრაქტი

მუჰაჯირობა – ამ ტერმინით აღნიშნავენ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ მოვლენას, რომელიც უკავშირდება 1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომს. ამ ომის შედეგად გადასახლებულ ადამიანთა ცხოვრებას.

ქართველოლოგიაში მუჰაჯირ ქართველთა ყოფის, კულტურული მემკვიდრეების, ისტორიული მოვლენების ანალიზი დღეისათვის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული მშობლიურ წიაღს მონყვეტილ თანამემამულეთა ბედით. წლების განმავლობაში ეს თემა მიზეზების გამო ტაბუდადებულიც იყო. მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო, ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულებაც შეიცვალა და დღეისათვის არსებობს ნება იმისა, რომ მეცნიერულად დამუშავდეს ყველა ის საკითხი, რომელიც მუჰაჯირ ქართველებსა თუ მათ შთამომავლებთანა დაკავშირებულია. ამ მიზნით უკვე წლებია ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები, ისტორიულ საქართველოსა თუ გურჯ-ლაზების დასახლებულ თურქეთის სხვადასხვა რეგიონში. მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით იქმნება საინტერესო ნაშრომები ცალკეული ავტორებისა თუ ავტორთა ჯგუფების მიერ.

თურქეთის სახელმწიფოს კეთილი ნებით, აღნიშნული სახელმწიფოს ოთხ დიდ უმაღლეს სასწავლებელში – ყარსში, არდაჰანში, რიზესა და დუზჯეში – ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება, სადაც მსურველებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ აკადემიური ინფორმაცია ქართველთა ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების მიმართულებით, ქართველოლოგიის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით; დაეუფლონ ქართულ სალიტერატურო ენას, რომელსაც პროფ. რევაზ შეროზიას სამართლიანი მოსაზრებით, უნდა ერქვას ქართველთა სალიტერატურო ენა, რომელიც თავისთავად მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის მეტყველთა ენობრივ სავანძურს.

თანამედროვე თურქეთის სახელმწიფო აძლევს შესაძლებლობას თურქეთის მოქალაქე გურჯებსა და ლაზებს (და არა მარტო მათ) იკვლიონ თავიანთი წარსული,

რამეთუ სწორი, აკადემიური ინფორმაცია უფრო ამყარებს კულტურულ ურთიერთობებს. დუზჯეს უნივერსიტეტში, სადაც უკვე ათ წელზე მეტია ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულება, სადაც სტუდენტები აღნიშნულ საკითხებზე მეცნიერული დაკვირვებით ამუშავებენ ნაშრომებს.

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, რა თქმა უნდა, მთლიანად არ ემთხვევა არც ჩვენებურთა, აჭარულ მეტყველებას და არც ლაზურს. ეს უძველესი სიტყვაფორმები, რომელიც თაობიდან თაობამ ზეპირი სახით შემოინახა, მისი კვლევა და დაფიქსირება კვლავ საშური საქმეა. მით უმეტეს, როცა ეს ინფორმაციები ჟამთასვლასთან ერთად იშლება მეხსიერებიდან და კულტურულ მემკვიდრეობად რჩება.

დუზჯე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია ჩვენთვის იმით, რომ აქ დიდი რაოდენობით ცხოვრობენ მშობლიურ წიაღს მონყვეტილი მუჭაჯირი ქართველები, უფრო სწორად, ამჟამად უკვე მუჭაჯირ ქართველთა შთამომავლები. რადგან უკვე საუკუნე-ნახევარზე მეტი გვაშორებს იმ ავბედითი ისტორიისგან, რომელსაც მუჭაჯირობა ჰქვია და ბუნებრივია, ამ ისტორიის მოწმე პირველი თაობა უკვე ცოცხალი აღარაა, მცირე ნაწილია მეორე თაობისა. ჩვენი რესპონდენტები ძირითადად მესამე თაობაა, რომლებიც გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ, თავიანთი წარსულის, წარმომავლობის შესახებ. და დღემდე მეტ-ნაკლებად ინახავენ თავიანთ ისტორიულ ენობრივ საგანძურს.

მუჭაჯირ ქართველებში ჩვენ ვგულისხმობთ გურჯებსა და ლაზებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ თურქეთის რესპუბლიკაში, ისინი ამ ქვეყნის ერთგული მოქალაქეები არიან; მათი დიდი ნაწილი საკუთარი ეთნიკური წარმომავლობით არის დაინტერესებული და სხვადასხვა ფორმით ცდილობენ კავშირის დამყარებას თუ ურთიერთობების შენარჩუნებას ისტორიულ ფესვებთან.

საკვლევი თემატიკა ღრმაა და ამოუწურავი. მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ლაზურ მეტყველებასა თუ ყოფას, ისტორიას. რადგანაც ეს ნაწილი მაინც ნაკლებადაა შესწავლილი, ეს ფაქტი ხელს უწყობს ლაზთა საბოლოო გაუცხოებას, მონყვეტას მშობლიური ქართველური წიაღისგან. თუმცა, ეს პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. გულმხურვალე მამულიშვილი ზაქარია ჭიჭინაძე ლაზეთის ისტორიული წარსულის მოთხრობისას აღნიშნავს, რომ „ლაზები ვალდებულნი არიან, კარგად შეიტყონ და შეიგნონ ის გარემოება, რომ იგინი არიან ქართველის ერის მოდგმისანი, რომ მათი სამშობლო არის საქართველო, მათი დედაენა არის ქართული ენის მამამთავარი და მათი დედაენის ანბანიც არის ქართული ანბანი და არა თურქული და არაბული ანბანი, როგორც ამას უქადაგებენ მათ ოსმალონი“ (ჭიჭინაძე 1927). „ტრაპიზონის იმპერიის მართვა-გამგეობის დროს ყველგან სულ ქართულს ენას და წერა-კითხვას ხმარობდნენ. ქართული ენა და წერა-კითხვა მათ ისე უყვარდათ, რომ თვით ლაზისტანის ტრაპიზონის მთავარ ეპისკოპოსსაც კი ეწოდა ეპისკოპოსი ხალთისა, რაც ნიშნავდა თურმე „ეპისკოპოსი ქართლისას... ეს

ცნობა ჩვენ აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ვიცოდეთ ლაზისტანის ნაციონალური სულის ძლიერება და საქართველოს წინაშე ერთგული სამსახური, რომლითაც ლაზები უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი“ (ჭიჭინაძე 1927).

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით წარმოგიდგინოთ თურქეთში მცხოვრებ ლაზთა ისტორიული მემკვიდრეობა და თვითაღქმა, ერთი კონკრეტული რეგიონის, დუზჯეს – ლაზების მაგალითზე.

**Maka Salia**

*Associate Professor at Düzce University (Turkey), Department of Caucasian Languages and Cultures, Program in Georgian Language and Literature.*

## LAZ POPULATION IN DÜZCE AND THEIR SELF-PERCEPTION

### ABSTRACT

*Muhajirism – this term refers to one of the most tragic events in Georgia’s history of the second half of the 19th century, connected to the Russo-Ottoman War of 1877–1878 and the lives of the people who were displaced as a result of this war. Within the field of Georgian studies, the examination of the muhajir Georgians—their way of life, cultural memory, and historical experiences—has emerged as one of the principal directions of contemporary research. Georgian scholars and public intellectuals have consistently demonstrated an interest in the fate of compatriots who were estranged from their homeland. For many years, however, this subject remained a taboo, silenced for a variety of reasons.*

*Since the 1890s, when a new stage in relations between Turkey and Georgia began, the aforementioned attitude has also undergone change. Today, there exists both the willingness and the possibility to undertake scholarly inquiry into all issues connected with the muhajir Georgians and their descendants. To this end, for several years now, academic expeditions have been organized both in historical Georgia and in various regions of Turkey settled by Georgian-Laz communities. Based on the materials collected, a number of noteworthy studies have been produced, authored either individually or collaboratively.*

*With the goodwill of the Turkish state, programs in Georgian language and literature have been established at four major universities—Kars, Ardahan, Rize, and Düzce. These programs provide students with the opportunity to acquire academic knowledge in the fields of Georgian language, literature, history, culture, and art, as well as to engage with current issues in Georgian studies. Students are also enabled to master the Geor-*

gian literary language, which, in the fair judgment of Prof. Revaz Sherozia, should more appropriately be termed the „Georgians’ literary language,“ as it inherently encompasses the linguistic heritage of speakers from all regions of Georgia.

The modern Turkish state grants its Georgian and Laz citizens (among others) the opportunity to study their own past, recognizing that accurate and scholarly information serves to strengthen cultural relations. At Düzce University, where the program in Georgian language and literature has been functioning for more than a decade, students engage in scholarly research and produce academic works dedicated to these subjects.

It must be noted that the modern Georgian literary language does not, of course, entirely coincide with either the Adjara dialect spoken by Georgians of that region or with the Laz language. These ancient lexical and morphological forms, preserved orally from generation to generation, remain in urgent need of systematic study and documentation. This task is rendered all the more pressing as such elements gradually fade from living memory over time, surviving only as part of the cultural heritage.

Düzce University (Turkey), Department of Caucasian Languages and Cultures, Program in Georgian Language and Literature. Düzce represents a significant region for us, as it is home to a large number of muhajir Georgians—or more precisely, the descendants of muhajir Georgians. Since more than a century and a half has passed since the tragic events known as muhajirism, the first-generation witnesses of this history are, naturally, no longer alive. Only a small portion of the second generation remains. Our respondents are predominantly representatives of the third generation, who possess certain knowledge about their past and origins, and who, to varying degrees, continue to preserve their historical linguistic heritage.

By muhajir Georgians, we refer to the Gurjs and Lazs who currently reside in the Republic of Turkey. They are loyal citizens of this country; a significant portion of them takes an active interest in their ethnic origins and, in various ways, seeks to establish or maintain connections with their historical roots.

The subject under investigation is profound and inexhaustible, multidimensionally interesting and significant, particularly when it concerns the Laz language, way of life, and history. This is due to the fact that this area remains relatively understudied, a circumstance which contributes to the gradual alienation of the Laz people from their native Georgian roots. However, this process has been ongoing for a long time. The patriotic scholar Zakaria Chichinadze, when recounting the historical past of Lazeti, emphasized that „the Laz people are obliged to learn and fully understand that they belong to the Georgian nation, that their homeland is Georgia, that their mother tongue is the source of the Georgian language, and that the alphabet of their mother tongue is the Georgian script, not the Turkish or Arabic scripts, as was propagated to them by the Ottomans“ (Chichinadze 1927).

*“During the administration of the Empire of Trebizond, the Georgian language and literacy were used everywhere. The Georgian language and script were so highly esteemed that even the chief bishop of Lazistan in Trebizond was called the Bishop of Khalt’a, which evidently meant ‘Bishop of Kartli.’ We cite this information here to demonstrate the strength of Lazistan’s national spirit and the loyal service rendered to Georgia, for which the Laz people were richly rewarded“ (Chichinadze 1927).*

*In the present study, we aim to present the historical memory and self-perception of the Laz living in Turkey, focusing on a specific region—the Laz of Düzce.*

თანამედროვე თურქეთში, ისტორიული საქართველოს ტერიტორიების გარდა, ეთნიკური წარმომავლობის ქართველები – გურჯები და ლაზები – ცხოვრობენ თურქეთის სახელმწიფოს შავიზღვისპირეთისა და მარმარილოს რეგიონებში, ასევე დიდ ქალაქებში: სტამბოლი, ანკარა, იზმითი, იზმირი და სხვა. არ არსებობს ოფიციალური მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეიძლება დასახელდეს მათი ზუსტი რაოდენობა.

მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნო-კულტურული თუ მენტალური მახასიათებლების გამოვლენა, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების წარსულის თუ დღევანდლობის შესწავლა, დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაცნობა, უმნიშვნელოვანესი საქმეა. მუჰაჯირ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესახებ მრავალი საინტერესო სტატია, წერილი თუ წიგნი არსებობს. ისტორიულ სამშობლოს მონყვეტილ მუჰაჯირთა პრობლემები ყოველთვის იყო ქართველ მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა კვლევის საგანი. საკუთრივ ლაზთა ყოფა-ცხოვრება, ეროვნულ პრობლემები – დამოკიდებულება ისტორიულ სამშობლოსთან – აღნიშნული საკითხებს ვხვდებით დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, იაკობ გოგებაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა ნაშრომებში. ფასდაუდებელია დიდი ქართველი ენათმეცნიერების – გიორგი ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯიქიას, ნ. ქუთელიას, გ. კარტოზიას და სხვათა – ღვაწლი.

მუჰაჯირთა შესახებ სამეცნიერო ნაშრომთა რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა მეოცე საუკუნის 90-იან წლებში და აღნიშნულმა კვლევებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. თანამედროვე თურქეთში მცხოვრებ ქართველთა, მოძმე გურჯ-ლაზებთან ეთნიკურ-ენობრივი ნათესაობის საფუძველზე დამყარებული ეროვნული ერთობის გაღრმავება-განმტკიცება იყო კვლევის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი ტარიელ ფუტკარაძის ნაშრომებისა. ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია შ. ფუტკარაძის, მ. ჩოხრაძის, რ. გუჯეჯიანის, ა. ნიკოლეიშვილის, რ. თოფჩიშვილის, მ. ლაბაძის, მ. ფალავას, ი. ლუტიძის, ბ. ხორავას, ბ. გოგონიას და სხვათა ნაშრომები. აღნიშნულ თემაზე დაწერილი სადისერტაციო ნაშრომები. მრავალი საინტერესო ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში, რომელთა შორისაა, ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველურ-თურქულ სამეცნიერ-

ლო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (ფუტკარაძე 2022).

ამრიგად, მრავალ საინტერესო ნაშრომს იცნობს საკითხით დაინტერესებული მკითხველი, ჩვენ მათი ჩამოთვლაც შორს ნაგვიყვანს, არათუ სათითაოდ განხილვა. და მაინც, დრო გადის. სწრაფად იცვლება სამყარო. იცვლება საზღვრებს მიღმა მცხოვრებ თანამემამულეთა ყოფა, უფრო მეტიც, იკარგება უძველესი ენა. საფრთხე ექმნება ეროვნულ აზროვნებას. ყოველი წამის დაფიქსირება კი საშური საქმეა.

ჩვენ მუჰაჯირ ქართველებში ვგულისხმობთ როგორც გურჯებს, ასევე ლაზებს. წინამდებარე სტატია ლაზებს ეხება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ლაზთა პრობლემებზე მსჯელობისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით გურჯებზე საუბარს.

დუზჯე, თურქეთში შავიზღვისპირეთის რეგიონია, რომლის მოსახლეობა გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით. ეთნიკური ჯგუფები დუზჯეში მიგრაციის გზით XVIII-XIX საუკუნეებში ჩამოსულან, კავკასიიდან, აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონიდან... აქ დიდი რაოდენობით სახლობენ ჩერქეზები, აფხაზები, ლაზები, გურჯები, ჰემშირები, არნაუტები (ალბანელები), ბოსნიელები... ეს სია გრძელდება ასე: ორდულები, ბათუმელები, ხოფელები, სარფულები. როგორც ჩანს, ეთნიკურ ჯგუფთა სახელდება ხდება მათი ადგილის მიხედვითაც, სადაც ისინი ადრე სახლობდნენ.

დუზჯეს ეთნო-კულტურულ მრავალფეროვნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს, რომლებიც თანამედროვე თურქეთის მოქალაქეები არიან. მათი მეტყველება ინახავს ისტორიული სამშობლოს ენობრივ საგანძურს, დღემდე სიცოცხლის უნარს არ კარგავს ქართველური ყოფისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა მნიშვნელოვანი ელემენტები. მთქმელები ხშირად აღნიშნავენ, რომ ისინი ცარიელი კი არ ჩამოსულან, მათ ჩამოიტანეს განსხვავებული ცხოვრების წესი, ცეკვა-სიმღერა, სამზარეულო, და უმთავრესი ენა. რომელიც ინახავს მათ ისტორიას, კულტურას.

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში ჩვენ ვგულისხმობთ აჭარიდან, მაჭახლიდან, ნიგალიდან წასულთა შთამომავლებს, რომლებიც გურჯების სახელითაა ცნობილი და ლაზეთიდან – გონიოდან, სარფიდან, ჩხალადან, წასულ ლაზებს.

„თურქეთში ქართველებით დასახლებული ადგილების შესახებ არსებობს სხვადასხვა მონაცემები. გადასახლებული ქართველები ცდილობდნენ ტყიან, წყლიან და ბუნებით მდიდარ ისეთ ადგილებზე დასახლებულიყვნენ, რაც მათ საქართველოს მოაგონებდათ. ერთ-ერთი ასეთი ადგილი არის დუზჯეს პროვინცია – შავი ზღვის რეგიონი. ის მოიცავს 8 რაიონს. მართალია, დუზჯე ვაკე ადგილია (ამაზე მისი თურქული სახელწოდებაც მიგვანიშნებს), მაგრამ სოფლები სადაც მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ, არის მაღლობი, მთიანი, მწვანეში ჩაფლული ადგილები, რომლებიც მართლაც საოცრად ჰგავს მშობლიურ აჭარას – დედასაქართველოს“ (ჩელები 2018: 29).

დუზჯეს რაიონები: აქჩაქოჯა, ილიჯა, ჯუმაიერი, ჩილიმლი, გოლიაქა, მუნჯურლუ, ქაინაშლი და ცენტრალური რაიონი – დუზჯე. დუზჯეს რეგიონში 36 ქართულ სოფელს ითვლიან. მათ შორის 23 სოფელი გურჯებისაა, 13 ლაზებისა. ამდაგვარი დაყოფა პირობითია. რადგანაც არ არსებობს შემთხვევა, რომ იქ მარტო გურჯები ცხოვრობდნენ, ან ლაზები. მთქმელთა ახსნით, ამა თუ იმ სოფელში პირველი მოსახლე თუ ლაზი იყო, მაშინ ლაზურ სოფელს ეძახიან, ან სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა თუ ლაზია. ამავე ახსნით, ასახელებენ გურჯების, აფხაზების, ჩერქეზების სოფლებსაც და გამართლებულად მიიჩნევენ აღნიშნულ სახელდებასაც. დღევანდელი მდგომარეობით სოფლები უფრო მეტად შერეულია და ერთად ცხოვრობენ გურჯები, ლაზები, ჩერქეზები, აფხაზები და სხვები. ჩვენი დაკვირვებით, სხვაზე მეტად კომპაქტურად დასახლებულნი მაინც ლაზები არიან. სახელდება სოფლებისა თურქულია. ერთადერთი სოფელი, რომლის სახელდება მიგვანიშნებს იქ მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე არის – გურჯუჩიფთლიქი, რაც ქართულად ნიშნავს ქართულ მეურნეობას. სხვა შემთხვევა ჩვენთვის უცნობია, სადაც ტოპონიმში დომინირებდეს სახელი გურჯუ ან ლაზი.

საყურადღებოა, რომ დუზჯეში ისევე როგორც ზოგადად თურქეთში „ლაზ“, „ლაზლარ“ (ქართ. ლაზები) სახელებით აღნიშნავენ არამხოლოდ ლაზებს, არამედ ზოგადად შავიზღვისპირეთში მცხოვრებთ, მასში იგულისხმება ორდუს, ტრაპიზონის, გირესუნის სამსუნის, სინოპის მკვიდრი მოსახლეობა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, (1895 წელს ლაზთა ხოჯების ნაამბობით) ლაზებს გულიც მოსდით, როცა მათთან ტრაპიზონელთა, გირესუნელთა, რიზელთა ლაზურ წარმოშობაზე ჩამოვარდება საუბარი, – ისინი ნამდვილი ლაზები არ არიან... თურქი ყველას ლაზს ეძახის“ (ჭიჭინაძე 1927). ჩვენი მთქმელები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნამდვილი ლაზები თავად არიან. ამის უტყუარი საზომი არის ლაზური ენა. ენა ჩვენ გვაქვსო... დღეისათვის შეიძლება ის ვერც ლაპარაკობდეს ლაზურად ანუ დავინწყებული ჰქონდეს, მაგრამ მაინც ამ ენის მემკვიდრედ ანუ ნამდვილ ლაზად თვლის თავს. ლაზების ამ ჯგუფის აღსანიშნავად ასევე ფართოდ გამოიყენება „მოხთი ლაზი“ ფორმა. „მოხთი ლაზი“ გულისხმობს უშუალოდ ლაზს. გვიკონკრეტებენ, რომ ენა (იგულისხმება ლაზური) მოხთი ლაზებსა აქვთო. მოხთია, მაგრამ ენა არ იცისო. მაშასადამე მთქმელთა ახსნით, მოხთი ლაზი აღნიშნავს ეთნიკურ ჯგუფს – ლაზს, ზოგადად ლაზი წარმომავლობას ადგილის მიხედვით. რაც შეეხება „მოხთი“, იგივე „მოჭთი“ ფორმას – ლაზურია და ნიშნავს „მოდის“. საყურადღებოა, რომ „მოხთი ლაზი“ ამ ფორმას დამცინავი ელფერი აქვს. ამიტომ ლაზები საკუთარი თავის აღსანიშნავად არ იყენებენ „მოხთი ლაზის“, მაგრამ თუ ჩაეკითხები გეთანხმებიან, რადგან ასე გიდასტურებენ უშუალო ლაზობას ან უარყოფენ და ამბობენ, რომ ის ტრაპიზონელია. როგორც ჩანს, ეს მეტსახელი ლაზური სიტყვის დართვით მიღებული შესიტყვება – „მოხთი ლაზი“ სხვებისგანაა შერქმეული. ისე, როგორც ქართველები თურქებს ეძახოდნენ კუდიანებს (ისინი ატარებდნენ სამოსს, რომელსაც კუდის ფორმის დაბოლოება ჰქონდა), კაბიანებს ეძახოდნენ ჩერქეზებს (ამ

შემთხვევაშიც სამოსის ფორმის მიხედვითაა სახელდება), ეს სიტყვა-ფორმები დღესაც ცოცხალია მათ მეტყველებაში. გურჯები ერთმანეთს იგივე ჩვენებურებს ეძახდნენ. ჩვენებური // ჩვენებურა რაც ჩვენიანს, ჩვენნიანს ნიშნავს. ზოგი ახსნით, ჩვენებური ფორმით მინიშნება ხდება რელიგიური ნიშნის მიხედვით. ჩვენებურში მხოლოდ მუსლიმანი ქართველი იგულისხმებაო. ესეც ერთ-ერთი მოსაზრებაა და ყველა არც თვლის უტყუარ ვარიანტად. დღეისათვის გურჯების ახალ თაობაში ბევრია ისეთი, ვინც საერთოდ წინააღმდეგია ამ ფორმით მიმართვის, თაკილობენ ჩვენებურა ფორმას და ამბობენ: ჩვენ ვართ ქართველები და თუ თქვენც ასე გვთვლით, მაშინ ჩვენც ქართველები დაგვიძახეთო. ეს ის ნაწილია, რომელსაც მეტი ურთიერთობა აქვს დედასამშობლოსთან და მეტი სწორი, აკადემიური ინფორმაცია თავის წარსულზე. ჩქინობურა დასტურდება ლაზურში. მათ, რა თქმა უნდა, იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა. შეკითხვაზე: – ჩქინობურა რენო? გვიდასტურებენ – ჰო, ჰო... მაგრამ იმ სიხშირით არ იყენებენ ამ ფორმას, როგორც გურჯები ჩვენებურას. „ლაზი ვორე“ ყველაზე მიღებული ფორმაა, თუმცა „მოხთი ლაზიც“ მიუხედავად დამცინავი ელფერისა, ფართოდაა გავრცელებული. ვფიქრობ, ამჟამად ეს ელფერი მას დაკარგულიც აქვს და უფრო ის მნიშვნელობა სჭარბობს, ის ემოცია რომ „მოხთი ლაზი“ მშობლიური ენის შენარჩუნებაზე მიუთითებს.

ტერმინი *ქართველი* უცნობია ასაკოვანი როგორც ლაზი, ასევე გურჯი ინფორმატორებისთვის. და ვინც იცის და გაუგია ამ ტერმინის შესახებ, ქართველებად თვლიან მხოლოდ გურჯებს.

ჩვენი რესპოდენტი ლაზების დიდი რაოდენობა გურჯებისგან დამოუკიდებელ, მაგრამ მონათესავე ეთნიკურ ჯგუფად მიიჩნევენ თავს. ნაწილისთვის ცნობილია მეგრელი ჯგუფის ხალხი, რომელიც ყველაზე მეტად ენათესავება ლაზურს. ზოგი მოსაზრებით მეგრელი იგივე ლაზია, ოღონდ ქრისტიანი ლაზი. არის ნაწილი რესპოდენტებისა, რომლებმაც იციან, რომ გურჯი, ლაზი, მეგრელი ერთი წარმომავლობის ეთნოსია და ამ ერთობას ქართული ჰქვია. ამის დასტურია დუზჯეს მეზობელ ქალაქ საქარიაში გახსნილი სათვისტომო, რომლის ოფიციალური სახელწოდება ასეთია „ქართველთა (გურჯებისა და ლაზების) კულტურის ასოციაცია“. ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს ვისმენტ ლაზთა იმ ნაწილისგან რომლებსაც, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც შენარჩუნებული აქვთ ენა, კულტურა, ცხოვრების წესი და ჯერ კიდევ ეფიქრებათ თავიანთ წარსულზე და ცდილობენ შეინარჩუნონ იდენტობა. ლაზთა დიდი ნაწილი, რომელიც საუკუნე-ნახევარზე მეტია აქტიურად ინტეგრირდებიან თურქულ საზოგადოებრიობაში, დაკარგული აქვთ ენაც და იდენტობაც. ბევრია როგორც ლაზებში, (გურჯებშიც) ისეთი ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ მამა ჰყავს ლაზი (გურჯუ). გულისხმობს რომ მამაა ლაზი (გურჯი) თავს კი არ თვლის ლაზად (ან გურჯად). და არის ნაწილი, რომელსაც შეიძლება ენა არ იცოდეს, მაგრამ თავს ეთნიკურ ლაზად (ან გურჯად) მიიჩნევს.

ჩვენი მთქმელების ერთგვარი ფიქრი თუ მოსაზრებაც მინდა გაგიზიაროთ მათი ლაზი გურჯი წინაპრების ურთიერთობებზე. ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ ნაირგვარ ეთნიკურ სიჭრელეში გურჯები და ლაზები ყველაზე მეტად ახლობლობდნენ. უკვირთ, რომ დღეს მათ არ ესმით ქართულად მოსაუბრის, როცა ახსოვთ თავიანთი ბებია-ბაბუები როგორ ახლობლობდნენ გურჯებთან. ერთმანეთის ტკივილს თუ სიხარულს გულწრფელად უზიარებდნენ და არსოდეს არ სმენიათ ენობრივ ბარიერზე. იხსენებენ მეხსიერებაში შემორჩენილ საერთო ლექსემებს: მუმული (ლაზ.) – მამალი (ქართ.), წკაი (ლაზ.) – წყალი (ქართ.), ნინა (ლაზ.) – ენა (ქართ.) ... იხსენებენ სხვა მსგავს ფორმებსა და გაოცებას ვერ მალავენ, რომ ჩვენი ქართული საუბარი მათთვის სრულიად გაუგებარია. სალიტერატურო ქართულს, გარკვეული მიზეზების გამო, სრულად ვერც გურჯები იგებენ; მათ ქართულ მეტყველებაში, რომელიც ძირითადად ემთხვევა სალიტერატურო ენის აჭარულ დიალექტს, ამჟამად დიდი რაოდენობით ქარბობს თურქული ლექსიკა. არ ესმით სალიტერატურო ქართული, რადგანაც ის არ ემთხვევა კონკრეტულად ერთ დიალექტს, ამ შემთხვევაში აჭარულს და მით უფრო ლაზურს.

დღეჯემი ჩამოსახლებული ლაზების უმრავლესობა არის ჩხალურეფე (ჩხალელები). მათი წინარები დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებში გადმოსახლდნენ მდ. ჩხალისა და მდ. ბელევენისხეობებიდან და დააარსეს 25-მდე სოფელი. გარდა ამისა, საკმაოდ ბევრგან მურღულელებთან, აჭარლებთან ან ქობულეთელებთან ერთად დასახლდნენ. რამდენადაც ლაზეთიდან წასულ მუჰაჯირთა შორის ჩხალელები აშკარად მეტობენ, მათი სამეტყველო ჩხალური კილოკავი (ხოფური ანუ ხოფურ-ჩხალური დიალექტისა) საყოველთაოდ განზოგადდა – დღეს მუჰაჯირი ლაზების შთამომავალთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ჩხალურად მეტყველებს“ (ლაბაძე 2013, 9-10).

ჩხალურეფეს გარდა, როგორც თავად ამბობენ, არიან სარფულეფე, ბათუმარეფე ლაზები. ესენი არიან სოფელი სარფიდან ან ბათუმის ზღვისპირა სოფლებიდან წასული ლაზები. ესენი თავიანთ თავს „ბათუმლუ მუჰაჯირლერ“ (თურქ.) ბათუმელ მუჰაჯირებსაც ეძახიან. ქართული ენის საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, „მუჰაჯირები (არაბ. მუჰაჯირ – გადასახლებული, ემიგრანტი) – ისლამის ქვეყნებში აღნიშნავს ემიგრანტებს, გადასახლებულთ. მუსლიმანური ტრადიციით, პირველი მუჰაჯირები იყვნენ წინასწარმეტყველ მაჰმადის მიმდევრები (იხ. ქსე, ტ. 7; 1984. 234). მუჰაჯირობა – კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებით გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX ს. (იხ. ქსე, იქვე).

თურქული ენის ლექსიკონის მიხედვით, მუჰაჯირი (muhacir), არაბული წარმომავლობის სიტყვაა, რომლის მნიშვნელობებია: ა) დასახლების მიზნით სხვა ადგილზე გადასული პირი; ბ) [სარწმუნოებაში] წმ. მუჰამედთან ერთად, ან მის შემდეგ მექადან მედინაში თავის შეფარების მიზნით გადასულთათვის დარქმეული სახელი (Sözlük, 2000:2008);

პროფ. მ. ჩოხარაძე აღნიშნულ ტერმინზე მსჯელობისას შენიშნავს: „უნდა ვალი-  
ართ, რომ რელიგიურ-სარწმუნოებრივი მოტივი ქართველთა გადასახლებაშიც იგ-  
რძნობოდა ხოლმე და ზოგჯერ მეტისმეტად თვალსაჩინოდაც... ალბათ, ლოგიკური  
იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოსა და საზოგადოდ, კავკასიაში მუჰაჯირობის  
ცნების უფრო კონკრეტული შინაარსი ეპოქის ისტორიული მოვლენებით არის გან-  
პირობებული და უკავშირდება, უპირველესად, რუსეთ-ოსმალეთის ომების მომყოლ  
მასობრივ გადასახლებებს. XIX საუკუნეში ხსენებული იმპერიების ბრძოლის ასპარე-  
ზად საქართველოც იქცა“ (ჩოხარაძე, 2017).

ვეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვით „კავკასიის ხალხთა გადასახლები-  
სას თითქოს რელიგიური ფაქტორი დომინირებდა, თუმცა, ეს ასე არ იყო. მთავარი  
იყო პოლიტიკური ფაქტორი – რუსეთის კოლონიური პოლიტიკა, რომელიც მიზნად  
ისახავდა კავკასიის დაპყრობასა და იმპერიის შემადგენლობაში ამ მხარის შეყვანას  
ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებისა და განდევნის გზით (ხორავა 2014:18).

შეგნიშნავთ, რომ ლექსემები – **მუჰაჯირი** თუ **მუჰაჯირობა** დღეისათვის ცნობი-  
ლია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებისთვის, მაგრამ მათ ცოცხალ მეტყველება-  
ში იმდენად აქტიური აღარაა. ამბობენ, რომ წინაპრებისგან ეს ფორმა არც სმენიათ,  
ისინი საკუთარ თავს მუჰაჯირებს არ ეძახდნენო. აღნიშნული ტერმინი პირველად ზ.  
ჭიჭინაძემ გამოიყენა, საიდანაც ჩანს, რომ მუჰაჯირი, მუჰაჯირობა **1878** წელს უკვე  
არსებობდა ოსმალეთში იძულებით გადასახლებულის აღსანიშნავად.

მუჰაჯირობის მიზეზებსა თუ ზოგადად ამ ავბედით ისტორიაზე არასწორი ინ-  
ფორმაციაა გავრცელებული და წლების განმავლობაში გამყარებული, თითქოს ეს  
იყო მუსლიმანი ქართველების დევნა მოძმე ქრისტიანი ქართველებისგან. ამდაგვარი  
ინფორმაცია ვრცელდებოდა მიზანმიმართულად, შეგნებულად ავრცელებდნენ და  
ამკვიდრებდნენ საკუთარ ძმებს შორის შუღლის, ზიზლისა და მტრობის გასაღვივებ-  
ლად.

„ამგვარი განწყობა ხელს უწყობს მუჰაჯირთა შთამომავლების სწრაფ ინტეგრაცია-  
ციას დამხვდურ საზოგადოებაში და ქართული ენობრივ-კულტურული მემკვიდრე-  
ობის სწრაფ გაქრობას... მუჰაჯირობის რეალური ისტორიის ცოდნა, კერძოდ, გარ-  
კვევა იმისა, რომ მუჰაჯირობის მიზეზი იყო რუსეთ-ოსმალეთის იმპერიული ინტე-  
რესები და არა – ქართველ ქრისტიანთა აგრესია, ხელს შეუწყობს ქრისტიან ქართ-  
ველებთან გაუცხოების ნიველირებას. ობიექტური ისტორიის ცოდნის შემთხვევაში,  
ერთი მხრივ, ამჟამინდელი თურქეთის მოქალაქე ქართველები უდიდეს როლს შეას-  
რულებენ საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლობის გაღრმავების მიმართუ-  
ლებით, მეორე მხრივ, მუჰაჯირთა შთამომავლებში გაჩნდება მეტი მოტივაცია, გა-  
დარჩეს თურქეთში მცხოვრები ქართველების ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობა  
(ფუტკარაძე 2019).

დღეისათვის არის დასახლება, სადაც ამბობენ – მეგრელები ვართო. მათგან ნაწილის  
მეტყველება ემთხვევა ჩვენებურების, გურჯების – აჭარელი მუჰაჯირთა შთამომავ-

ლების მეტყველებას, ნაწილმა თურქულის გარდა სხვა ენა არც იცის. მონათესავე ეთნოსად თვლიან ლაზებს. არა აქვთ არანაირი ინფორმაცია, რატომ არიან მეგრელები, რა განასხვავებთ „სხვებისგან“ – ან გურჯებისგან თუ ლაზებისგან... იციან მხოლოდ „ქარადენიზლი“ (თურქ.) შავიზღვისპირელი მეგრელები არიან. როგორც ჩანს ეს ყველაზე ძველი ფენაა მუჰაჯირებისა. ცნობილია, რომ დღევანდელი ეთნოგრაფიული ლაზეთი მხოლოდ ერთი, აღმოსავლეთის ნაწილის ნახევარია ისტორიული ლაზეთი სამეცნიერო ქართული წყაროებით იგივე ქანეთი, რომელსაც თავის მხრივ, ეგრისის ნაწილად, მეგრელთა ქვეყნად, სამეგრელოს მხარედ მიიჩნევენ, „სოფელი მეგრელთა“ (ქართლის ცხოვრება – I. 1955. 39).

სულის შემდგრელია ლაზთა ყოფაში შემონახული ზოგიერთი ისეთი ელემენტი რომელსაც ვერ ხსნიან, მთავარი დედააზრი რიტუალისა გაბუნდოვანებულია, ან საერთოდ გამქრალია მათი მეხსიერებიდან. ლაზმა ინფორმატორმა ქკიდის (ლაზ.) „მჭადი“ (ქართ.) მომზადებაზე გვითხრა, რომ ბებიჩემი მჭადს ტაფაზე დააკრავდა და ასე ხაზს გაავლებდაო. რატომ ავლებდა ასე, ჯვრის ფორმით ხაზს, რამე ახსნა ხომ არ იცით-მეთქი, ჩავეძიეთ, მაგრამ ვერ ახსნა, გაიკვირვა, რომ ჯვარი ვახსენეთ, ბებია მორწმუნე მუსლიმანი იყო. თუმცა, მართლა ასე აკეთებდა, არც მან იცოდა, ალბათ, ჯვარს რომ ხატავდაო; იმ ხაზის გარეშე სრულყოფილად არც თვლიდა, ალბათ, ნახელავსო. ასე აგვიხსნა თურქულ ენაზე, თავისი ფესვებით დიდად დაინტერესებულმა ახალგაზრდა ბიჭმა ეს ამბავი. ფერების დასახელებისას: მჭითა „წითელი“, უჩა „შავი“, ხჩე „თეთრი“.... რა შეიძლება იყოს მჭითა, ინფორმატორი პასუხობს: მჭითა მაქვალი „წითელი კვერცხი“, უჩა თომა „შავი თმა“... ერთგან გურჯებიც გვიყვებოდნენ, როგორ იყო „იუმურთა სავაში“ (თურქ.) სიტყვასიტყვით, კვერცხებით ბრძოლა. კვერცხებს რომ მოხარშავდნენ, ბავშვებს დაგვიძახებდნენ, აბა, ვინ მოერევო... ეს რელიგიური ტრადიცია უკვე თამაშობად იყო ქცეული და ის მთქმელიც ვერ ხსნიდა, რამე სხვა საფუძველი ხომ არ ჰქონდა ამ „თამაშს“.

თურქულად გვიხსნიდა, მაგრამ ცალკეულ სიტყვებს ლაზურად ამბობდა. გვითხრა, რომ ლუყუს „ფხალს“ ლაზურ სამზარეულოში მთავარი ადგილი უჭირავს. ლუყუ გვინდა არ გვინდა, გვიყვარს თუ არ გვიყვარს, ლუყუს მაინც რგავენ ჩვენებო. გამახსენდა, ექსპედიციაზე ყოფნისას ერთმა ადგილობრივმა ქართველმა ოჯახზე მანიშნა – ამ სახლში ან გურჯები არიან ან ლაზებიო. იცნობ-მეთქი? არა, ისე ვხვდებიო. მერე გაირკვა, რომ გურჯებისა ყოფილა. მინიშნება კი ის იყო, რომ ეზოს შესასვლელში სულ რამდენიმე ძირი ფხალი იყო გაშლილი. ჩვენი მთქმელი ასაკიანი კაცი იყო და გვითხრა: ასე იყო ჩემი ბავშვობიდან, სადაც ფხალს ვნახავდით, ვხვდებოდით, რომ ან გურჯი იქნებოდა ან ლაზი და ასე დაკარგული ნათესავეებიც ვპოულობდით ერთმანეთსო. ეს ტრადიცია დარჩა ჩვენს ოჯახში და ყოველ წელს თვალში საცემ ადგილას ვრგავთ ფხალსო.

ლაზებს განსაკუთრებით უყვართ ქაფშია. გვიხსნის; ქაფშიას მომზადებას, რომელიც ერთგვარ რიტუალს წააგავს... როგორ ალაგებენ მრგვალ ტაფაზე და ნელ-ნელა

როგორ იღებს ბორჯღალოს ფორმას. თუმცა, არც ბორჯღალოზე იცის რამე, სამწუხაროდ. მერე სევდიანად დასძინა – ნინი შქიმი კაი ლალაღანტუ, შქი ვამიშკუნა... „ბე-ბიაჩემი კარგად საუბრობდა (ლაზურად) ჩვენ არ ვიცითო.“

ლაზები (ისევე როგორც გურჯები) თუ ადრე, მუჰაჯირობის პირველ წლებში ჩაკეტილად ცხოვრობდნენ, ოჯახურ გარემოში უფრო ინარჩუნებდნენ ეროვნული მეობის უმთავრეს ნიშანს – ენას და სხვა ცხოვრების წესს, შემდგომში, როდესაც დაიწყეს განათლების მიღება სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში – დაიფანტნენ დიდ ქალაქებში. ამან კი განაპირობა მშობლიური ენის დაკარგვა. ხშირ შემთხვევაში ენა დაკარგული აქვს, მაგრამ მაინც არ უარყოფენ ისტორიულ ფესვებს, თუმცა, ეს პროცესიც დიდ ხანს ვერ გაგრძელდება. „ენის დაკარგვა ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს“. აღნიშნული პრობლემა ეხება როგორც გურჯებს, ასევე ლაზებს და მაინც, უფრო მეტად ლაზებს.

დუზჯეს მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ დუზჯეში ფუნქციონირებს „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაცია“, სადაც ტარდება ქართული ენის, ქართული სიმღერების, ცეკვის გაკვეთილები, იმართება ქართული სამზარეულოს დღეები... და როდესაც ლაზი უარყოფს საერთო წარმომავლობას, უარყოფს ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს და თავს შორს იჭერს მისგან. ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ცეკვის კურსებზე შევხვდებით ლაზ გოგო-ბიჭებს; მშობლები სამართლიანად, ადასტურებენ, რომ ეს ცეკვები ჩვენიცაა, ეს საერთოა გურჯ-ლაზებისთვის. როდესაც ქალაქში ეთნიკური კულტურის დღეები გაიმართა და ყველას – ჩერქეზებს, აფსუებს, გურჯებს... – ჰქონდათ წარმოდგენილი კუთხეები, ვერ ვიპოვე ლაზები. კითხვაზე, სად არიან ლაზები? რატომ არ არიან? ერთმა ქალბატონმა მიპასუხა: ჩვენ ყველგან ვართო... ურჩევნიათ, იყვნენ ყველგან და არა გურჯებთან. არა აქვთ სურვილი დაესწრონ ქართული ენის გაკვეთილებს, მიზეზი „გასაგებია.“ თუმცა, ამ გაკვეთილზე, რომელსაც უფრო მეტად ასაკოვანი გურჯები ესწრებიან, ხშირად გვსაყვედურობენ, რომ სულ კაი გურჯუჯე ჩვენმა დიდვანებმა იცოდნენ, დღევანდელი გურჯუჯე სხუაია... ჩვენ ის გურჯუჯე გვინდა ჩვენი ნენეები რომ ლაპაიკობდნენო. მაგალითისთვის მოგიყვანთ, რომ მათი აზრით სწორია „ბია“ და არა კომში. ბალვობიდან ბია ვისი მე, კომში არ გამიგია. სწორია ბალვი ია ბალანა... ნანა // ნენა და არა დედა. უაღრესად საინტერესოა მათი მეტყველება და ასევე მათივე დამოკიდებულება ამ სიტყვა-ფორმებისადმი. აქ ისიც ნათელი ხდება, თუ რატომ უგებდნენ კარგად მათი „დიდვანები“ ანუ უფროსი თაობა ერთმანეთს ისე, რომ ენის ბარიერი არ ჰქონდათ. მაშინდელი მათი მეტყველება უფრო ახლოს იყო ერთმანეთთან. დღეისთვის კი, სალიტერატურო ქართული ენა, რომელიც განვითარდა, უფრო დაიხვეწა, არ ემთხვევა გურჯებისა თუ ლაზების მეტყველებას. საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილი ქართული დაკონსერვდა, არ მიეცა განვითარების საშუალება, ის დარჩა საოჯახო ენად, რომელშიც ჭარბად შემოვიდა თურქული სიტყვები და არა მარტო სიტყვები, არამედ ლაზურში წინადადების კონსტრუქციამაც შემოჭრილია ამ ენობრივი სისტემისთვის დამახასიათებელი სინტაქსუ-

რი მოვლენა. მაგალითად „მოხთუშკულე“ გახლავთ კალკი თურქულის „რომ მოვიდას მერე“ (გელდიკთანსონრა) ფორმისა. ამას ლაზურ ტესტებში და ზეპირმეტყველებაში მასობრივი სახე აქვს და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, ყველაზე საშიში ენის დაკარგვისა, სწორედ მსგავსი პროცესებია (ჯიქია 1975). და თუ ამ პროცესს ჩვენც შევუწყობთ ხელს, ისინი უფრო ადვილად ასიმილირდებიან „სხვებთან“. ხელშეწყობად მივიჩნევთ იმ ფაქტს, რომ რაღაც მიზეზების გამო იოანე ლაზის შთამომავლებს ცალკე ანბანი შევუქმნათ და ასე გამოვაცალკეოთ ისინი ქართველური ენობრივი სივრცისგან. პირიქით, ჩვენ ისინი უნდა შთავაგონოთ, რომ ქართული სამნიგნობრო-სალიტერატურო ენა არის უძველესი ენა, რომელიც ერთად შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა: ლაზებმა, ტაოელებმა, ჰერელებმა, აფხაზებმა ... პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სიტყვებით: „ქართული სამნიგნობრო ენის უძველესი კერები იყო: ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთ-ეგრისი, ლაზეთ-ჭანეთი, სვანეთ-თაკვერი, ქართლ-კახეთის, გურია-აჭარის, მთიულეთ-ხევის, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთის, ჰერეთის სასულიერო ცენტრები“ (ფუტკარაძე 2006:10).

საქართველოს ეროვნულ-ენობრივი ერთიანობის ქვაკუთხედი გახლავთ სწორედ ეს, რასაც გააზრებულად უნდა ფლობდეს ყველა ქართველი (ლაზი, მეგრელი, სვანი, ხევსური, აჭარელი, კახელი, იმერელი...). ამასთანავე პროფესორის აზრით, უმნიშვნელოვანესია ცოდნა იმისა, რაც ასაზრდოებს ქართველურ ერთობას. ესენია:

1. კოლხური (კოლხურ-ყობანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ კოლხური სახელმწიფო ოცზე მეტ ქართველურ თემს აერთიანებდა თავისი არსით, ქართველური (ზოგადქართული) ხასიათისაა.

2. ქართველური სამნიგნობრო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართლურს, კახურს, ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.

3. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრული წარმოშობის დიდგვაროვნები (ბაგრატიონები, ჭყონდიდლები..)

4. ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა..) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს – თამარს (ფუტკარაძე 2006:14).

დიახ, ასე ესახებოდა პატივცემულ მეცნიერს ქართული სამნიგნობრო ენის სტატუსის უზრუნველყოფა, ქართველური ზეპირი მეტყველებების შენარჩუნებისთვის აუცილებელი ღონისძიების გატარება და საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველობის ენობრივი იდენტობის გადარჩენა.

ამრიგად, განსხვავებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ფაქტორებმა, არაერთგვაროვანმა ენობრივ-კულტურულმა კონტექსტმა დიდი გავლენა მოახდინა ლაზების (ასევე გურჯების) არა მხოლოდ მეტყველებაზე, თვითაღქმაზეც. სწორი, აკადემი-

ური ინფორმაცია და კომპლექსური კვლევები არის აუცილებელი პირობა არსებული მდგომარეობის შესაცვლელად. ლაზი ქართველურ სივრცეში თამამად და ამაყად უნდა გრძნობდეს თავს, როგორც ამ ქვეყნის ენის, ერის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი და მისი ღირსეული მემკვიდრე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

**ლაბაძე 2013:** მ. ლაბაძე, მურღულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქტონ ქართველთა – ლაზთა და ლივანელთა – მეტყველების თავისებურებანი (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები. სადოქტორო დისერტაცია), ქუთაისი, 2013.

**სალია 2021:** მ. სალია, შ. ლომაია, ფ. ჩელები. ეროვნულ-ენობრივი ერთიანობის იდეა პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ნაშრომებში. ქართველოლოგიური მემკვიდრეობა, ქუთაისი. 2021

**ფუტყარაძე 2006:** ტ. ფუტყარაძე, ქართული ენის ისტორია. 2006. თბილისი.

**ტ. ფუტყარაძე,** ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები. თბილისი, 2019.

**ფუტყარაძე 2022:** ტ. ფუტყარაძე, მ. ტაბიძე, მ. ლაბაძე, ს. კეკუა, კ. გეჯუა, ქართლის ცხოვრება – ტ I, თბ., 1955.

**ქსე 1984** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.7 თბ., 1984.

**ფ. ჩელები, მ. სალია ბეშიროღლუ,** ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით. თბილისი 2022.

**ჩელები 2017:** დუზჯეს მხარეში მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი (სადოქტორო დისერტაცია). თბ., 2017

**ჩოხარაძე 2016:** მერაბ ჩოხარაძე, ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, 2016, ბათუმი.

**ჭიჭინაძე 1927:** ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი ლაზისტანის ისტორიულის და ეთნოგრაფიულის მხრით, თფილისი, 1927.

**ხორავა 2014:** ბ. ხორავა, ზაქარია ჭიჭინაძე და მუჭაჯირობის საკითხები, ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები; თბ., 2017.

**ჯიქია 1975:** სერგი ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობებიდან 4. თსუ შრომები, თბილისი, 1975.